

შპს "გაერთიანებული სისტემა" (ს/კ 405075644)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2022 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს "გაერთიანებული სისტემა" (ს/კ 405075644)

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. მარაგები
7. სხვა მიმდინარე აქტივები
8. არამატერიალური აქტივები
9. ძირითადი საშუალებები
10. სავაჭრო ვალდებულებები
11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
12. გადასახადები
13. სხვა ვალდებულებები
14. კაპიტალი
15. ამონაგების აღიარება
16. საოპერაციო იჯარა
17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
18. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)
19. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

შპს "გაერთიანებული სისტემა" (ს/კ 405075644)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.	31.12.2020წ.
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	855,330	1,104,932	795,111
სავაჭრო მოთხოვნები	4	91,460	345,887	438,178
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	235,752	187,680	193,389
მარაგები	6	104,534	301,192	23,402
- მზა პროდუქცია		104,534	301,192	23,402
- სხვა		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	19,580	44,118	5,864
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-	-
- გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	8	8,058	8,245	8,245
ძირითადი საშუალებები	9	520,216	421,202	204,988
სულ აქტივები		1,834,930	2,413,256	1,669,177
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	329,515	409,609	355,617
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	-	30	1,180
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	19	200,460	-	-
სხვა ვალდებულებები	13	162,385	162,593	162,483

სულ ვალდებულებები		692,360	572,231	519,280
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	14	52,433	-	155,249
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,090,137	1,841,024	994,648
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,142,570	1,841,024	1,149,897
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,834,930	2,413,256	1,669,177

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს სახელით
2023 წლის 08 ივლისს

.....
ვ. ლიგოჯიძე

ვახტანგ ჩოგოვაძე
შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს დირექტორი

.....
ქ. ჭყეშელაშვილი

დავით ჯალაღანია
შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს
დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "გაერთიანებული სისტემა" (ს/კ 405075644)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022წ.	2021წ.
ნეტო ამონაგები		1,643,895	2,014,108
საქონლის გაყიდვიდან	15	21,840	69,279
მომსახურების გაწევიდან		1,622,055	1,944,829
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(133,456)	(95,962)
საერთო მოგება		1,510,439	1,918,146
სხვა შემოსავალი		3,085	25,842
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	(835,190)	(1,023,619)
ცვეთა და ამორტიზაცია		(114,260)	(50,946)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი	19	(11,941)	-
იჯარის ხარჯი	16	(208,677)	(188,020)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(440,599)	(293,895)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,607,582)	(1,530,638)
საოპერაციო მოგება		(97,143)	387,508
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		-	-
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-	-
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	18	(10,554)	(7,602)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(107,697)	379,906
მოგების გადასახადი			(3,000)
მოგება/(ზარალი)		(107,697)	376,906

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-	
სხვა		-	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(107,697)	376,906
	14		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,841,024	1,149,897
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	(57,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(643,190)	526,470
კაპიტალის სხვა ცვლილებები		52,433	(155,249)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,142,570	1,841,024

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს სახელით
2023 წლის 08 ივლისს

.....
.....

ვახტანგ ჩოგოვაძე

შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს დირექტორი

.....
.....

დავით ჯალაღანია

შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს
დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "გაერთიანებული სისტემა" (ს/კ 405075644)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.	31.12.2020წ.
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	855,330	1,104,932	795,111
სავაჭრო მოთხოვნები	4	91,460	345,887	438,178
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	235,752	187,680	193,389
მარაგები	6	104,534	301,192	23,402
- მზა პროდუქცია		104,534	301,192	23,402
- სხვა		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	19,580	44,118	5,864
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-	-
- გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	8	8,058	8,245	8,245
ძირითადი საშუალებები	9	520,216	421,202	204,988
სულ აქტივები		1,834,930	2,413,256	1,669,177
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	329,515	409,609	355,617
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	-	30	1,180
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	19	200,460	-	-
სხვა ვალდებულებები	13	162,385	162,593	162,483

შპს "გაერთიანებული სისტემა" (ს/კ 405075644)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სულ ვალდებულებები		692,360	572,231	519,280
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	14	52,433	-	155,249
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,090,137	1,841,024	994,648
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,142,570	1,841,024	1,149,897
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,834,930	2,413,256	1,669,177

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს სახელით
2023 წლის 08 ივლისს

.....
ვახტანგ ჩოგოვაძე
შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს დირექტორი

.....
დავით ჯალაღანია
შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს
დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ნაწილს.

შპს "გაერთიანებული სისტემა" (ს/კ 405075644)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022წ.	2021წ.
ნეტო ამონაგები		1,643,895	2,014,108
საქონლის გაყიდვიდან	15	21,840	69,279
მომსახურების გაწევიდან		1,622,055	1,944,829
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(133,456)	(95,962)
საერთო მოგება		1,510,439	1,918,146
სხვა შემოსავალი		3,085	25,842
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	(835,190)	(1,023,619)
ცვეთა და ამორტიზაცია		(114,260)	(50,946)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი	19	(11,941)	-
იჯარის ხარჯი	16	(208,677)	(188,020)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(440,599)	(293,895)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,607,582)	(1,530,638)
საოპერაციო მოგება		(97,143)	387,508
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		-	-
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-	-
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	18	(10,554)	(7,602)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(107,697)	379,906
მოგების გადასახადი			(3,000)
მოგება/(ზარალი)		(107,697)	376,906

შპს "გაერთიანებული სისტემა" (ს/კ 405075644)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-	
სხვა		-	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(107,697)	376,906
	14		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,841,024	1,149,897
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	(57,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(643,190)	526,470
კაპიტალის სხვა ცვლილებები		52,433	(155,249)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,142,570	1,841,024

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს სახელით
2023 წლის 08 ივლისს

.....

ვახტანგ ჩოგოვაძე
შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს დირექტორი

.....

დავით ჯალაღანია
შპს "გაერთიანებული სისტემა"-ს
დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გაერთიანებული სისტემა“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2014 წლის 16 დეკემბერს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დოლიძის ქ., N 22, ხოლო მისი ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, წერეთლის 87ზ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, კერძოდ, ჩასარიცხი აპარატებით მომსახურება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს ორი მეწილე 50%-50%-ის მფლობელი ფიზიკური პირები დავით ჯალაღანია და ვახტანგ ჩოგოვაძე, რომლებიც წარმოადგენენ ასევე კომპანიის დირექტორს.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით;
- კომპანიამ ისარგებლა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად გამოცემული შეღავათი და არ წარადგინა ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში, უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში, ნაღდ ფულს სალაროში და ასევე ვირტუალურად შექმნილ საბალანსო ფულად ანგარიშს, რომელიც კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე გამოიყენება მომხმარებლების მიერ ბალანსის შესავსებად.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2022	2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	124 202	147 714
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	898	1 139
ნაღდი ფული სალაროში	5 508	264 925
ბალანსი	724 722	691 153
სულ	855 330	1 104 932

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება არ მომხდარა 2022 წელს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	91 460	345 887
სულ	91 460	345 887

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2022	2021
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	235 752	187 680
სულ	235 752	187 680

6. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ისეთ პროდუქციას, რომლის მოხმარება ხდება როგორც კომპანიის მიერ მისი ძირითადი მომსახურების გასაწევად, ასევე რეალიზაცია კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის პროცესში.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2022	2021
მზა პროდუქცია	104 534	301 192
სულ	104 534	301 192

7. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს საპენსიო სააგენტოსა და საგადასახადო ორგანოში ზედმეტად გადახდილ თანხებს.

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ საბუღალტრო პროგრამას და ასევე კომპანიის ძირითადი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ყალბი ფულის ამოსაცნობად, რომლიც აისახება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის დატესტვა გაუფასურებაზე ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და იგი პირდაპირ აისახება ხარჯის სახით სხვა სრულ შემოსავლებში. არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	8 245	8 245
შემოსვლა	-	-
გადაფასება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	8 245	8 245
ამორტიზაცია	(187)	(187)
წმინდა საბალანსო ღირებულება	8 058	8 058
31 დეკემბერი 2021	8 058	8 058
31 დეკემბერი 2022	8 058	8 058

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-15 წელი
- სანტრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი
- მანქანა-დანადგარები (ჩასარიცხი აპარატები) 5-15 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-15 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები (ჩასარიცხი აპარატები)	კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2021	5,960	627,836	13,711	38,965	-	686,471
შემოსვლა	590	114,520	3,149	51,594	23,140	192,993.00
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-72,200	-1656	-6,050	-	79,906.00
31 დეკემბერი 2022	6550	670,156	15,204	84,509	23,140	799,558
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2021	-1,376	-253,360	-5,480	-5,053	-	-265,269
პერიოდის ცვეთა	-1048	-98,556	-2,313	-9,643	-2,700	-114,260
გასვლა	-	96,504	1,480	2,202	-	100,186
31 დეკემბერი 2022	-2,424	-255,412	-6,313	-12,494	-2,700	-279,343
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	4,584	374,476	8,231	33,912	-	421,202
31 დეკემბერი 2022	4,126	414,744	8,891	72,015	20,440	520,216

10. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის

თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

12. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). 2022 წელს დამფუძნებლებზე დივიდენდის გაცემა არ მომხდარა.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების. 2021 წლიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეიცვალა დღგ-ს მთლიანი კარი, რაც გულისხმობს ტერმინების დახვეწასა და მიახლოებას ევროდირექტივებთან.

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს ფიზიკური პირების მიერ კომპანიისთვის გაწეული მომსახურების საფასურს, რომლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

14. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 52 433 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვეთება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01 იანვარი 2022წ.	-	1 841 024	1 841 024
შენატანი	324 331	-	324 331
გაცემა	(271 898)	-	(271 898)
დივიდენდები	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	(107 697)	(107 697)
სხვა ცვლილება	-	(643 190)	(643 190)
სულ	52 433	1 090 137	1 142 570

15. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

16. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „იჯარის ხარჯის“ მუხლში. აღნიშნული იჯარის ხარჯი წარმოადგენს ოფისის იჯარას, რომელიც კომპანიას აქვს ნაქირავები. იჯარის ხარჯი ძირითადად მოიცავს ფართისა და ჩასარიცხი აპარატების იჯარის მომსახურების თანხებს.

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

<u>თანხა მოცემულია ქართულ ლარში</u>	2022	2021
რემონტის დანახარჯები	165 340	29 737
მიწოდების სხვა ხარჯები	178	161
საწვავის ხარჯი	101 366	97 484
საკანცელარიო ხარჯი	11 074	11 175
მივლინების ხარჯი	540	1 080
კომუნიკაციის ხარჯები	22 648	23 193
საკონსულტაციო ხარჯები	1 155	5 856
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	1 923
სხვა საერთო ხარჯი	138 299	123 286
სულ	440 599	293 895

18. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს 2022 წლის განმავლობაში კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან/ჩამოწერიდან და საკურსო სხვაობიდან მიღებულ ნეტო შემოსავალს.

19. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება. 11 941 ლარი წარმოადგენს სესხის პროცენტს, რომელიც დაფარული იქნა 2023 წელს.

2022 წლის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა ერთი 354 დღიანი სესხი.

ლარში სესხი 1 – წლიური 13,5% 354 დღე და აღებულია კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის გასაფართოებლად.

20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.